# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი I. 1907 წ.

თბილისი. სამშაბათი 6 მარტი

№ 13

მიიღება ხელის მოწერა 1907 წ. ყოველდღიურ პოლიტიკურ და სალიტერატურო გაზეთ **ჩვენ ცხოვრებაზე** აზიანის და ევდოშვილის მონაწილეობით.

გაზეთი ღირს:

| თბილისში: | | ქალაქ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| წლიურათ . | 5 მ. | წლიურათ . | მ. |
| ექვსი თვით. | 3 „ | ექვსი თვით | 3 „ 50 კ. |
| ერთი თვით. | „ 50 კ. | ერთი თვით | „ 60 „ |

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება სტამბა „ს ° -ში. მიხეილის ქ. № 40.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Чвени Цховреба“, რედ. ქციის—ელისაბედის ქ. № 88.


## სათათბიროს გარეთ

—

მას შემდეგ რაც სათათბირო გაიხსნა, ბნელი ძალები უფრო ამოძრავდნენ. არ გადარჩათ აუკლებელი არც ქალაქი, არც სოფელი. შიშის ზარსა სცემენ ყველას. როგორც გაზეთებში იწერებიან, სულიერი მამანიც მარჯვეთ სარგებლობენ დროთი. ახდევინებენ წელში მოხრილ ხალხს თუ რამ ოდესმე მათზე დარჩენილა. ურჩებს ახდევინებენ მათრახებით, ეგზეკუციით. ქართლის თავად-აზნაურობა ხომ ერთიან გამძვინვარდა: მთელი მაზრა მან ყაზახთა ბანაკათ გადააქცია. ავიწყდებათ მათ, რომ ხალხი ადრე თუ გვიან კვლავ მოსთხოვთ პასუხს, და არ იქნება საკვირველი, თუ შეგუბებული ბრაზი საშინელ შურისძიებათ გადაიქცევა.

სათათბიროს უმდილობამ, მისმა სიჩუმემ და მთავრობასთან მხარის-მხარ ბოლთის დაკვრამ ასევე წამაქეზებელი გავლენა იქონია რუსეთის ბნელს ძალებზედაც. **ხერსონის გუბერნიიდგან იწერებიან**, რომ იქაური ესრეთ წოდებული „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირი გაჩქარებული იძენს იარაღს; აქამდე მათ ჰქონდათ რევოლვერები და რეზინის ჯოხები. ეს არ იკმარეს და მოითხოვეს ვინტოვკებით შეიარაღება. ადგილობრივი სამხედრო თოფის საწყობი აკმაყოფილებს მათს სურვილს.

ერთის სიტყვით, სათათბირომ სიგნალი მისცა თვისი უმდილობით, თვისი „შემარიგებელი ტაქტიკით“ ბნელს ძალებს და ისინიც სარგებლობენ ამით.

ტელეგრამები, ნაკაზები, რეზოლიუციები, ხალხის მიერ გაგზავნილი დეპუტატებთან, დეპუტატების პორტფელებში აწყვიან, როგორც დამყაყებულს ჩინოვნიკის არხივში „საქმის ქაღალდები“. ხმა ციხიდგან: „ამნისტია“, „სიკვდილით დასჯის გაუქმება“ თითქო არც კი ესმით დეპუტატებს. ხმა ხალხისა: „აივსო მოთმინების ფიალა“,—სტოლიპინს სიცილათაც არა ჰყოფნის. ან კი რატომაც არა?

ხომ გასჭრა მისმა ხერხმა. ჩაითრია კადეტები, კადეტების ანკესს გამოედევნენ „ტრუდოვიკები“ და მათ კუდში მისჩანჩალებენ ამხ. მენშევიკები. ასე და ამგვარათ ერთის მხრივ ბნელი ძალები, მეორე მხრივ დუმის ტლანქი მოძრაობა და მთავრობის კალთაზე გამობმა, თითქოს საფრთხეს უქადიან რევოლიუციას, მაგრამ ხალხი მაინც არ სცხრება და დაჟინებით თხოულობენ თვისი წარმომადგენლებისაგან „ბრძოლას“ და არა შერიგებას. **მოსკოვის სტუდენტობა** თხოულობს, რომ სათათბირომ გამოაცხადებინოს მთავრობას ამნისტია. პოლიტიკური გადასახლებულნი **ხანსკის სტავკიდან** „ეგებებიან დეპუტატებს, როგორც პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის დამცველთ. **ტობოლის გუბერნიაში** გადასახლებულნი სწერენ დეპუტატებს ტელეგრამას: „გულის ფანცქალით ველით ამნისტიას. მოლლილ მოქანცულნი ზნეობრივათ და ფიზიკურათ, ველით რომ ახალი სათათბირო უფრო ბედნიერი გამოდგება, და მისცემს ხალს „მიწას და თავისუფლებასო.“ **ვოლოგდის კოლონიის** პოლიტიკური გადასახლებულნი ეგებებიან მეორე სათათბიროს როგორც შეურყეველს შემაერთებელს კავშირს სახელმწიფოს ამოძრავებაში ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობისაგან განსათავისუფლებლათ. როგორც ხალხის მიერ ბრძოლით მოპოებულს ორგანოს წამოყენებულს განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან, რომელმაც თვის გარშემო უნდა შემოიკრიფოს ფართო მასსა“. აი რა იმდით შეჰყურებს ხალხი სათათბიროს. აი რისთვის ამოირჩია თვისი წარმომადგენლები ხალხმა სათათბიროში. მაგრამ სათათბირო ყუჩობს, სათათბირო ყურს იყრუებს ხალხის ხმაზე. ხოლო სათათბიროს გარეთ კი ბრძოლის განგაში სცემს და არა სცხრება. დეე სათათბირო დაადგეს „შემარიგებელ ტაქტიკას“, ხალხი არ გაჰყვება მას. არც გული გაუტყდება მას ამით, და იგი მაინც იბრძოლებს!

---

## ორგანიული მუშაობა და „წინ“-ის „ორგანიული გაუგებრობა“

ვერ იქნა, ვერ გაირკვიეს თბილელმა მენშევიკებმა ორგანიული მუშაობა მეორე დუმაში. მათი აზრით ყოველივე კანონ-პროექტის შეტანა თავისთავათ ორგანიული მუშაობაა (იხ. „წინ“ №16). ასე, რომ თუ დღეს ჩვენი პროგრამა—მინიმუმი ცალკე მუხლებათ გაყავით და ცალკე პროექტებათ შეიტანეთ აგიტაციური მიზნით—ეს ორგანიული მუშაობაა მათი აზრით. თუ ასე არ ფიქრობ, ანარხისტი ხარო! რა თქმა უნდა, საკვირველი არაფერია, თუ შეშინებულ ლიბერალს... უკაცრავათ, შეშინებულ მენშევიკს ყველგან ანარხისტი ელანდება. მაგრამ საქმე ამაში არაა. საქმე იმაშია, რომ თბილელი მენშევიკები უარჰყოფენ თვით მენშევიკებსაც და სავსებით ლიბერალურ გზას ადგებიან.

ფაქტები. უარჰყოფდენ თუ არა მენშევიკები პირველი დუმის დროს ორგანიულ მუშაობას? დიახ, უარჰყოფდნენ. აი რას ამბობდა მარტოვი ორგანიულ მუშაობაზე:

„ყოველივე ორგანიული მუშაობა სიძულვილს გამოიწვევდა დუმასა და ხალს შორის და მხოლოდ თვითმპყრობელობას მოუტანდა სარგებლობას“ (იხ. Нар. и госуд. дума. ელმარი ე. ი. მარტოვი 1906 წ. 10 გვერდი).

რატომ ასე უყურებდა საქმეს ამხ. მართვი? იმიტომ, რომ რუსეთში არ არის კონსტიტუცია, იქ ჯერ არ არის პარლამეიტი, რომ კაცმა ორგანიულ მუშაობას მოკიდოს ხელი. ყური დაუგდეთ:

„სახელმწიფო სათათბირო არ არის პარლამენტი... იმიტომ, რომ ჯერ არ არსებობს ისეთი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც უნდა იკრიბებოდეს და კანონიერ ძალა-უფლებას იღებდეს იგი“... „პარლამენტმა შეიძლება იმოქმედოს **მხოლოდ მაშინ**, როცა უკვე დამყარდა კონსტიტუციონური წესები. დამფუძნებელი კრება შეიძლება შეიკრიბოს მხოლოდ მაშინ, როცა ძველი წესები აღარ არსებობს... ჯერ-ჯერობით კი ვერაფერ ამისთანას ვერ ვხედავთ ჩვენ“ (იხ. იქვე 17 გვ.).

„მაშ რა უნდა აკეთოს დუმამ“, კითხულობს მარტოვი. „მან უნდა იგრძნოს კავშირი ხალხის რევოლიუციასთან“ და მასთან ერთათ იმოქმედოს, პასუხობს მარტოვი. „ხალხის რევოლიუცია კი **ამტვრევს** ძველ საზოგადოებრივ წესებს“ (იხ. 18 გვ.). და სათათბირო „მხოლოთ მაშინ მოიტანს სარგებლობას, როცა ის გამოიცნობს რევოლიუციის მორიგ საქმეს და გააკეთებს სწორეთ იმას, რის გაკეთებაც საჭიროა და შესაძლებელია დღეს“ (იხ. 19 გვ.). „ჩვენ ვამბობდით, რომ ასეთ საქმეს არ შეადგენს კონსტიტუციის შედგენა, ან და ორგანიული მუშაობა ე. ი. **ხელის შეწყობა** თვითმპყრობელობის მინისტრებისადმი ქვეყნის ეხლანდელ მართვა-გამგეობაში“... (იხ. 20 გვ.) დუმამ არ უნდა მოჰკიდოს ხელი კანონების ფაბრიკაციას“ (იხ 21 გვ.)

როგორც ხედავთ, მარტოვის აზრით, ორგანიული მუშაობა რქმევია „კანონების ფაბრიკაციის“ **თანახმათ** „ეხლანდელ მართვა-გამგეობისა“.

არა ორგანიული მუშაობა კი „დღევანდელ მართვა-გამგეობის“ **„მტვრევა“** ყოფილა, რომელსაც „ხალხის რევოლიუცია“ აწარმოებს და რომელსაც დუმამაც უნდა მოჰკიდოს ხელი მარტოვის აზრით.

ორგანიული მუშაობა, თუ არა სოც.-დემოკრატიული პროექტების წამოყენება დუმაში? არა! რატომ? იმიტომ, რომ ეს პროექტები ძირიანათ უარჰყოფს „ეხლანდელ მართვა-გამგეობას“.

ორიგანიული მუშაობაა თუ არა მუშათა ადგილობრივი კომისიების პროექტის წამოყენება? არა! რატომ? იმიტომ, რომ ასეთი კომისიები **თითონ მუშებს** გადასცემდა მუშების საქმეს, ეს კი ძირიანათ უარჰყოფს „ეხლანდელ მართვა-გამგეობას“. ამიტომ იყო, რომ პირველი დუმის დროს, როცა ბალშევიკებიც და მენშევიკებიც **უარჰყოფდნენ** ორგანიულ მუშაობას,— ყველანი **მხარს უჭერდნენ** ასეთ პროექტებს შესახებ მუშების და გლეხების კომისიებისა.

„წინ“-ს არ ესმის ეს, მაგრამ რა ჩვენი ბრალია: ჩაუკვირდეს და გაიგებს.

მენშევიკების ახალი რეზოლიუცია ამბობს, რომ „როდესაც გარემოება მოითხოვს სოც. დემოკრატია (იგულისხმე მენშევიკები) **მხარს** უჭერს სხვა პარტიის კანონ პროექტებს, როგორც ნაკლებ ბოროტებას“ (იხ. „წინ“ № 16). ე. ი. მენშევიკები უკან წაიღებენ საკუთარ პროექტებს და, ვთქვათ, კადეტურ პროექტებს მისცემენ ხმას. ჩვენ არ ვიცით რა „გარემოებაზე“ ლაპარაკობს აქ რეზოლიუცია. კადეტების ცენტრალური ორგანო „Рѣчь“-ი, ეგებება რა სიხარულით მენშევიკების რეზოლიუციას, სამართლიანათ შეამჩნევს, რომ „გარემოებაზე“ ლაპარაკი „მორცხვი შენიშვნაა“ და მეტი არაფერიო. აქ საქმე აი რაშია. კადეტებს „უზენაეს მთავრობასთან მორიგება უნდათ“. მათი პროექტებიც, რა თქმა უნდა, ამის შესაფერი იქნება. თუ დღეს, რევოლიუციონურ მომენტში, მენშევიკები მხარს დაუჭერენ მათს პროექტებს. ეს იმასა ნიშნავს, რომ ისინი თავს ანებებენ „ეხლანდელი მართვა-გამგეობის“ „მტვრევას“ (ტყუილათ კი არ აქებენ კადეტები მენშევიკებს,—„სული სულს იცნობს“!). ეს კი იმასა ნიშნავს, რომ მენშევიკებს, ისევე, როგორც ლიბერალებს, გათავებული ჰგონიათ ჩვენი რევოლიუცია, მაგრამ „მორცხვობენ“ და პირდაპირ ვერ ამბობენ.

აი რა არის ორგანიული მუშაობა, რომელსაც რევოლიუციის გათავებისას უნდა ჰქონდეს ადგილი, და არა მაშინ, როცა რევოლიუცია მაღლა იწევს.

სულ სხვა ნაირათ ლაპარაკობს ბალშევიკების რეზოლიუცია: „პირველ ადგილზე წამოყენებული უნდა იყოს **კრიტიკული** და პროპაგანდა-აგიტაციონურ-ორგანიზაციონური მიზანი სოც.-დემ. ფრაქციისა... სწორეთ ამ მიზანს, **და არა პირდაპირ „საკანონ-მდებლო“ მიზანს უნდა ემსახურებოდეს** ის პროექტები, რომლებსაც ს.-დ. ფრაქცია შეიტანს დუმაში“ (იხ. „ჩვ. ცხ.“ № 11).

ლენინს ასე ესმის ეს რეზოლიუცია: „ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი საკუთარი —ლიბერალური კი არა, წვრილ ბურჟუაზიული კი არა,—არამედ სოც.-დემოკრატიული კანონ-პროექტები... და დავაყენოთ ბალატიროვკაზე. დეე, არ მიიღონ ისინი შავებმა (მემარჯვენეებმა) და კადეტებმა. ჩვენ მაშინ სასტიკ კრიტიკას უწევთ კადეტების კანონ-პროექტებს და სისტემატიურათ შეგვაქს შესწორებანი. როცა შესწორება თავდება, ჩვენ **თავს ვიკავებთ კენჭის ყრის დროს**“... „ჩვენ არ ვიღებთ პასუხის გებას ხალხის წინაშე შესახებ იმ სილატაკისა და სიწამხდრისა, რომელიც თან ახლავს კადეტების ცრუ დემოკრატიზმს“ (იხ „Лучъ“).

დიახ, არსებულ „მართვა გამგეობასთან“ **შეგუება**, თუ ამ „მართვა გამგეობის“ **მტვრევა**, აი როგორ დგას კითხვა.

მენშევიკებს რევოლიუცია გათავებული ჰგონიათ და ამიტომ **შეგუების** ტაქტიკას ახორციელებენ კადეტური პროექტების **მხარის დაჭერით**.

ბალშევიკები რევოლიუციას გათავებულათ არ სთვლიან და ამიტომ სასტიკათ **ებრძვიან** კადეტების და მენშე-

ვიკების შეგუების ტაქტიკას, ისინი **მხარს არ უჭერენ** კადეტურ პროექტებს.

აი, როგორ უნდა შევხედოთ ორგანიულ მუშაობას, ამხ. ლიბერალებო.

## ს ა თ ა თ ბ ი რ ო შ ი

**მეორე დუმის შავბედითი ვარსკვლავი.** მეორე დუმას ბედი არ უღიმის, გარდა მთავრობის ყვავ-ყორნებისა, მას ბუნებაც კი არ უწყობს ხელს. თითქმის ერთ ნახევარი საუკუნეა რაც ტავრიდის სასახლე დგას, მაგრამ მას არავითარი კატასტროფა არ განუცდია, და აი შეიკრიბენ თუ არა ხალხის წარმომადგენლები, ინგრევა, კედლები და ჭერი ველარ მაგრდება. ვინ არის დამნაშავე? მართლა ბუნება, თუ ტავრიდის სასახლის გამგეები? მას შემდეგ რაც იგი დუმის სხდომებისათვის აირჩიეს, იგი ორჯერ შეაკეთეს, რისთვისაც რამდენიმე ასი ათასი მანეთი იყო გადადებული. ვინ იცის, შეიძლება ამ შეკეთების მიზანი იმ კატასტროფის მოხდენა იყო, რაც ამ დღეებში მოხდა! აქ არაფერი გასაკვირველი არ არის რა. მაგრამ ეს კიდევ არაფერია: ქადა იყვეს თორემ იგი ორივე ხელით იჭმება. საქმე ის არის, რომ დუმას სხვანაირი განსაცდელი, უფრო საშიში ხიფათი მოელის იმათგან, ვინც იგი გამოიგონა და ვინც იგი მოიწვია. მართალია, ჩვენ არასოდეს არ გვწამდა, რომ დუმას თავის თავათ რაც უნდა მას დიდი სურვილი ქონდეს, არსებითათ რაიმეს გაკეთება შეეძლოს. მაგრამ ხალხის ფართო მასსა ამაში არ არის დარწმუნებული, მას მაინც ჯერა, რომ საველე-სამხედრო სასამართლოების მთავრობას ხალხისთვის რაიმე კარგი სურდეს. ეს რწმენა ვერ გააქარწყლა ვერც პირველი დუმის ბედმა. ახლა შეიკრიბა მეორე დუმა. დიდი უმრავლესობა მასში ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ელემენტებისაგან შესდგება. ყველა ესენი იმთავითვე ფრთხილათ იქცევიან; ყოველგვარ შეტაკებას და მწვავე კონფლიქტს მთავრობასთან ერიდებიან. ასე წარმოიდგინეთ, დუმის დიდი უმრავლესობა გარდა სოც.-დემოკრატებისა და სახალხო—სოციალისტებისა, კადეტების მეთაურობით მთავრობის მოქმედების კრიტიკაზედაც-კი უარს ამბობენ. როგორც ხედავთ ამაზე მეტი ზომიერება და დათმობა დუმის მხრით შეუძლებელია. მაგრამ მიუხედავათ ამისა, კამარილა მაინც ვერ ურიგდება დუმის არსებობას იმ სახით, რა სახითაც იგი დღეს არსებობს. ჩვენ წინეთაც ვამბობდით, რომ მთავრობას დღეს სჭირია დუმა, მაგრამ **არა ისეთი** დუმა, როგორიც დღეს შეიკრიბა. მარტო ის გარემოება, რომ დუმაში მთავრობის მოსისხლე მტრების რიცხვი საკმარისათ დიდია, მარტო ის გარემოება, რომ დუმაში მთავრობის მიერ დევნილი და არა ლეგალურ პარტიების და განსაკუთრებით სოც.-დემოკრატიის წარმომადგენლები იმყოფებიან, მთავრობას ძილს უფრთხობს, იმას მოსვენებას არ აძლევს. და აი, როგორც გაზეთები ერთხმათ გადმოგვცემენ, მთავრობას წინდაწინვე გადაუწყვეტია მეორე დუმის დთხოვა. იგი, როგორც სჩანს იმდენ ხანსაც-კი არ დაითმობს მის არსებობას, რამდენ ხანსაც დაითმო პირველ დუმის არსებობა. ოპოზიციამ თუ ისწავლა, მთავრობასაც ბევრი შეუძენია. გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ ვიღაც ავტორი სწერს ახლანდელი დუმის შესახებ: **„არავინ თავისი ხელით თავის თავს არ მოიჭრისო“**. როგორც ვიცით, „ნოვოე ვრემია“ მთავრობის ოფიციოზური ორგანოა, რაც იქ იწერება საშინაო პოლიტიკის შესახებ პირდაპირ მთავრობის განზრახვას გამოხატავს. „ნოვოე ვრემიას“ წერილი ამ მხრით მეტის-მეტი გულახდილობით არის დაწერილი. მთავრობას მხოლოდ რევოლიუციის ჩასაქრობათ უნდოდა, და რადგანაც იგი ამ მიზანს ველარ აღწევს, მისთვის დუმა საჭირო აღარ არის. თავისი ხელით არავინ არ მოიჭრის თავის თავს. ამაში იხატება მთავრობის ნამდვილი სულის კვეთება. ჩვენც ამას ვამბობდით ყოველთვის, როცა მთავრობის განზრახვას ვააშკარავებდით. მთავრობას რევოლიუციონერ ხალხში ილლიუზიების შექმნა და განმტკიცება სურდა დუმის საშუალებით. დღეს, როცა გარემოება ისე მოეწყო, რომ დუმის მთავრობის ყურმოჭრილ მონათ გახდომა შეუძლებელი შეიქნა, ჩვენ მიზანს არ შეადგენს, რომ იგი გარეკილ იქმნას. მაგრამ თუ რომ მთავრობა არ შედგება და მეორე დუმასაც გარეკს, აქ ჩვენთვის მოულოდნელი არაფერია. თავისი ხელით თავის თავს არავინ მოიჭრის. ასე ფიქრობს მთავრობა. ეს ლოღიკური დასკვნაა მისი მოქმედების. რაღა დარჩენია ხალხს? მებრძოლმა ხალხმაც აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გამოიყვანოს. ამიტომ რამდენათაც მთავრობა ჩქარა განახორციელებს თავის განზრახვას, მით უფრო დააახლოვებს თავის ბოლოს. მთავრობა აშკარათ ამბობს: მე არავითარი დათმობა არ მსურს ხალხისთვის, ჩემი ხელით მე თავს ვერ მოვიკლავ. მებრძოლ ხალხმაც უნდა ამას შეუთანხმოს თავის ტაქტიკა.

## პ რ ე ს ა

**„დავბერდი, დავჩაჩანაკდი“**... კიდევ გამოჩნდა ცის იერზე ეგრეთ წოდებული პლეხანოვი, კიდევ „აღაღო პირი თვისი“ და კიდევ „აღიმაღლა ხმა“. მერე ვის წინააღმდეგ გამოილაშქრა, როგორ გგონიათ? იქნება რეაქციის წინააღმდეგ, რომელიც სულს უხუთავს ქვეყანას? არა! რეაქციასთან ბრძოლა მოსწყინდა პლეხანოვს. ან იქნება ლიბერალ-მონარქიულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც სამინისტრო პორტფელებზე ყიდის ხალხის ინტერესებს? რა თქმა უნდა არა! პლეხანოვი კადეტების დიქტატურის მომხრეა და რა წარმოსადგენია, რომ ამისთანა კაცმა მათ წინააღმდეგ გაილაშქროს? დიახ, პლეხანოვი არ შეებრძოლება კადეტებს. ის მხოლოთ ბალშევიკებსა ხედავს ბრძოლის ველზე და სწორეთ მათ უნდა გაუწიოს უსწორო ბრძოლა. რას ამბობს პლეხანოვი თავის ეპისტოლეში? თურმე ნუ იტყვით, ბალშევიკები მუდამ სცდებოდნენ, ხოლო მენშევიკები მუდამ სწორეს ლაპარაკობდნენ და ცხოვრებაც მათ ამართლებდა. მაგალითათ მოყავს ბოიკოტის ტაქტიკა (იხ. „წინ“ № 16). ჩანს პლეხანოვს დავიწყებია, რომ რევოლიუციამ სავსებით წალეკა ბულიგინის დუმა და მით ბოიკოტის ტაქტიკა გაამართლა. მართალია, მენშევიკებს ბულიგინის დუმაში მონაწილეობის მიღება უნდოდათ; მართალია, მათ ამ დუმის დამფუძნებელ კრებათ გადაქცევა უნდოდათ; მართალია, რევოლიუციამ ბულიგინის დუმაც დაფუშა ოქტომბრის გაფიცვით და მენშევიკების ფანტაზიაც, მაგრამ რა უყოთ: პლეხანოვს ყველა ეს დაავიწყდა და მისი ბრალი ხომ არაა,—მოგეხსენებათ, კაცი რო **დაბერდება გულმავიწყობა დასჩემდება**, პლეხანოვი კი კაი ხანია დაბერდა რევოლიუციისთვის. მაგრამ ეს კიდევ არაფერია, პლეხანოვს ისიც დავიწყებია, რომ რევოლიუციამ ვიტეს სათათბიროს ბოიკოტიც გაამართლა, რადგანაც მან სავსებით გამოაშკარავა ამ სათათბიროს უძლურება, ბოიკოტი კი სწორეთ ამას ამტკიცებდა; პლეხანოვს დავიწყებია აგრეთვე ის, რომ მენშევიკების ორჭოფი პოზიცია: **მონაწილეობა** არჩევნების პირველ საფეხურებზე და **ბოიკოტი** თითონ სათათბიროს,—სავსებით უარჰყო ცხოვრებამაც, თითონ მენშევიკებმაც; მას დავიწყებია ისიც, რომ შე-

---

# ფელეტონი

### დ უ მ ა

**წერილი პირველი**

(გაგრძელება. იხ. „ჩვ. ცხ.“ № 12)

მემარცხენეთა გუნდი დუმის 40 პროცენტს შეადგენს. ამათი ერთათ გალაშქრება კადეტების წინააღმდეგ სასურველ ნაყოფს მოუტანს რევოლიუციას. მემარცხენეთა უმეტესობა გლეხობის მიერ გამოგზავნილია და ეს გარემოებაც აშკარათ ამართლებს იმავე რევოლიუციონურ ს.-დემოკრატების შეხედულობას რევოლიუციონურ გლეხობაზე. აქაც დამარცხდა ამხ. მეუმცირესეების აზრი, რომელნიც შარშან გაუგებრობის კილოთი კითხულობდნენ: რითი სჯობია თქვენი კაი გლეხობა „გლახა“ კადეტებსო? ცხოვრებამ უპასუხა: იმით, რომ გლეხობა იბრძვის, კადეტები კი ენა-მრუშობენო. ს.-დ. დეპუტატების უმეტ. პაც გლეხების გამოგზავნილია, ვინა დგან სამრეწველო პროლეტარიატის არჩევნო უფლებები უუფლებობას უდრის და მას არ შეეძლო ქალაქებიდგან თავის დეპუტატების გაგზავნა (მხოლოდ ორი ს.-დ. დეპუტატია ქალაქებიდან არჩეული: თბილისიდან—ზურაბიანი და პეტერბურგიდან—ალექსინსკი). თუ რომ ამ 40 პროცენტნს ღირსეული ხელმძღვანელი დაურჩა, თუ რომ ს.-დ. ფრაქციამ ფართოთ გაშალა თავის ძლევა-მოსილი დროშა, დამოუკიდებლათ გამოვიდა ბრძოლის ველზე და თან წაიყვანა რევოლიუციონური გლეხობის წარმომადგენლები კადეტების წინააღმდეგ—[illegible] გადაჭრით [illegible] მაშინ, ის [illegible]ეიძლება ამის თქმა, [illegible] კებათ იქცევიან, მაშინ დუმა შეასრულებს თავის ვალს. იგი პოლიტიკურათ აღზრდის ხალხს, ხელს შეუწყობს სხვა და სხვა კლასების დუმის სხვა და სხვა ფრაქციებთან დაკავშირებას.

მემარჯვენეები? ესენი ვერასოდეს ვერ დაიკავშირებენ ხალხს, რადგან მათი უმეტესობა მთავრობის ფოკუსების წყალობით გავიდენ დეპუტატებათ. პავოლაკი კრუშევანი და ძმანი მათნი მიცვალებულთა დეპუტატებია, ამათ მკვდრებმა მისცეს ხმა და დეე, დაუკავშირდნენ რაც შეიძლება მჭიდროთ და განუყოფელათ თავიანთ ამრჩევლებს. მარა მიუხედავათ იმისა, რომ ესენი ახალი კლასის, მიცვალებულთა კლასის, წარმომადგენლებია, მათ დუმაში გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება. ამათი ქცევა აშკარათ დაანახვებს ხალხს (თუ კი ეს კიდევ საჭიროა) მთავრობის სიმახინჯეს, და სიწამხდრეს და გაიძვერობას, მათდამი სხვა ფრაქციების ტაქტიკა კი ხელს შეუწყობს დანარჩენი ფრაქციების პოლიტიკური სახის ნათლათ გამორკვევას...

დეპუტატების რიცხვმა იმატა სხდომის დარბაზში. მათი უმრავლესობა სულ უბრალოთ არიან ჩაცმული: პიჯაკებში, ბლუზებში და „პადიოვკებში“. პოლონელი დეპუტატები თავიანთ ნაციონალურ ტანსაცმელში არიან რაღაც გრძელი ჩვენი ქულაჯის მაგვარი თეთრი ქათიბები აცვიათ გრეხილებათ გაწყობილი...

პარაკლისი მაღალი მრავალჟამიერით გათავდა და მიტროპოლიტმა სიტყვით მიმართა ხალხს. ილაპარაკა ქრისტეზე, მოციქულებზე, იუდაზე და კიდევ ვილაცებზე, რის თქმა უნდოდა—ვერ გავიგე, თუმცა რაც თქვა გავიგონე: ნამეტანი „ღრმათ“ და ქარაგმულათ ილაპარაკა. გაათავა. უცებ გაისმის ორი-სამი ხმა.

— გიმნ! გიმნ!

— ბოჟე ცარია— ხრანი—ი...

დაიწყო ხორომ და „ჭეშმარიტ რუსთა“ თვალები იმედის ნაპერწკლებმა აანთო. პავოლაკიმ ამაყათ მიმოიხედა გარეშემო. გათავდა გალობა.

ურა! დასძახეს „ჭეშმარიტებმა“.

—„ურაა!“, სასტიკი ხმით ჩამძახა ვიღაცამ ყურში. მივიხედე—ჩვენი პატიოსანი კოლლეგა-ჟურნალისტი, გაფთრებით ყვირის „ურას“ და მედიდურათ იცქირება აქეთ-იქით.

— ეს შავრაზმელთა „სვეტის“ კორესპონდენტია—ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— არა, „ზორკასია“, გაუსწორა მეორემ.

ყველამ გაკვირვებით და ცნობის მოყვარეობით დაუწყო ცქერა.

„საიდან შემოგვიფრინდა ეს ობოლი ფარშევანგი?“.

ფიქრობდნენ, ალბათ, ჟურნალისტები.

— თქვენ რას იცინით?

— ვის დასცინით, ჰა? თქვენი გვარი?

ამ ხმამაღალმა და მრისხანეთ წამოძახილმა სიტყვებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია. ვიღაც მოხუცებული „ჭეშმარიტი“ „პუბლიკიდან“ ქარხალივით გაწითლებული და კისრის ძარღვებ-დაწიწული ტუქსავდა ერთ კორესპონდენტს, მგონი დაშნაკცაკანების გაზეთის წარმომადგენელს, და ვინაობას კითხავდა. ჩაიწერა სახელი და გვარი. ალბათ მოახსენებს სადაც ჯერ არს. ამასობაში მეორეჯერაც იგალობეს გიმნი, მეორეჯერვე დასძახეს „ურა“ და შავრაზმელი-დეპუტატებიც სხდომის დარბაზში შემოვიდნენ. ყველა დეპუტატები დასხდნენ და ელოდებიან გოლუბევის შემოსვლას.

საათმა პირველი დაჰკრა. მემარჯვენეთა მხარეზე დარბაზის კარები გაიღო და...

„შემოდგა კარსა ყრმა ვინმე,
კეკლუცი ტან-ნაკვთიანი.“

გოლუბევი დინჯი, ამაყი, აუჩქარებელი, მაგარი ნაბიჯით გაემართა თავმჯდომარის ადგილისაკენ. მას უკან მისდევს მასავითვე ჩაცმულ-მოკაზმული რამდენიმე ბიუროკრატი, იმნაირივე ნაბიჯით, მასსავითვე თავაწეულები, ამაყები, დიდებულები...

— რრაზ—დვა, რრაზ—დვა!

გინდა „უკამანდრო“, როცა მათ სიარულს უყურებ. ყველანი ფეხი-ფეხ მიდიან, ერთმანეთს მისდევენ.

ალბათ იქ, საიდანაც გამოვიდნენ, ჯერ ჩაირაზმენ, შემდეგ გოლუბევის ბრძანებით: ნაპრავო! მარჯვნით შემოტრიალდნენ, ასე რომ ერთი მეორეს ზურგს უკან მოექცნენ: „შაგომ მარშ!“ და წამოვიდნენ...

დაიჭირეს თავიანთი ალაგები. გოლუბევი და სახელმწიფო მდივანი იქსკული თავმჯდომარის კათედრაზე გაჩერდნენ, სხვები კიდევ ქვევით.

დაიწყო ცერემონიები. ს. დ. დეპუტატები არ დაესწრნენ ამ ცერემონიებს და მხოლოდ შემდეგ შემოვიდნენ...

პირველი სხდომა თავმჯდომარის არჩევით გათავდა. როგორც იცით აირჩიეს კ. დ. გოლოვინი, რომელმაც 356 თეთრი კენჭი მიიღო და 102 შავი. ს. დ. დეპუტატებმაც მხარი დაუჭირეს გოლო-

გნებულმა მუშებმა დაგმეს (პირველი დუმის დროს) კადეტური სამინისტროს მხარის დაჭერა და დამფუძნებელი კრება ალიარეს; არ ახსოვს პლეხანოვს არც ის, რომ ცხოვრებამ დაანგრია მენშევიკების ორგანიზაციული პლანი და ბალშევიკების აზრი მიიღო პარტიის წევრობაზე... დიახ, ეს დავიწყებია, ჩვენს პლეხანოვს, დავიწყებია აგრეთვე ის ფაქტები, რომ შესაფერ პირობებში მარქსი და ლასალიც ბოიკოტისტები იყვნენ და პრუსიის ს.-დემოკრატიაც ბოიკოტს არტყამდა პრუსიის ლანტაგს, რომ უდიდესი მარქსისტი, კ. კაუცკი საკვირველს არაფერს ხედავდა ვიტეს სათათბიროს ბოიკოტში, და თავისებური დარბაისლობით ამართლებდა მას,—ვიმეორებთ ყველა ეს დავიწყებია პლეხანოვს და ამავე დროს ძველებური რიხით განაგრძობს: ბალშევიკები ბლანკისტობენ, „**ბატონი**“ (!) ალექსინსკი ცდებაო! ეს ის პლეხანოვი ეძახის „**ბატონს**“ პეტერბურღელი მუშებისგან არჩეულ ალექსინსკის, რომელმაც, პარტიის სამარცხვინოთ, კადეტებისა და სოციალ-დემოკრატების **შეერთება** იქადაგა ამას წინეთ „საერთო პლატფორმის“ შემწეობით და რომლის ასეთი შეხედულება ერთხმათ დაგმო ბალშევიკ-მენშევიკების საერთო კონფერენციამ 1906 წლის ნოემბერში! *) პლეხანოვი ეელარ მიმხვდარა, რომ, რაც ის ბერნშტეინამდე ჩამოქვეითდა და „საერთო პლატფორმა“ იქადაგა, მას შემდეგ მისი ძველი რიხი აღარ შეეფერება მის ახალ მდგომარეობას პარტიაში! პლეხანოვი ვერ მიმხვდარა, რომ ის ახლა გაკოტრებულ აზნაურს ემზგავსება, რომელსაც „ძველი დიდებიდან“ მარტო ყოყოჩობაღა შერჩა... მას დავიწყებია, რომ მის გაქიანურებულ ეპისტოლეებს კადეტები უფრო სიხარულით ეგებებიან ხოლმე, ვიდრე პეტერბურგ-მოსკოვის მოწინავე მუშები. დიახ, ყველა ეს სავსებით დავიწყებია პარტიის ყოფილ „მასწავლებელს“ და იმიტომ არის, რომ ასე ყოყოჩათ გაიძახის: ცხოვრებამ დაგმო ბალშევიზმიო. ჰო რა თქმა უნდა: თუ ამისთანა „დიდ“ სამრეწველო ცენტრებს ვიქონიებთ სახეში, როგორიც არის მაგალითათ: სურები და ხიდისთავი, ხონი და ოკრიბა, გორი და სიღნაღი, — თავისთავათ ცხადია, რომ მენშევიზმს „ამართლებს“ ცხოვრება; მაგრამ თუ არ დავივიწყებთ იმისთანა „პატარა“ ცენტრებსაც, როგორიცაა პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, ურალი,—თავისთავათ ცხადია, რომ ბალშევიზმს სავსებით „ამართლებს“ ცხოვრება. საქმე სულ იმაშია, თუ რომელ ცხოვრებას უფრო მაღლა დააყენებ: ოკრიბის თუ პეტერბურგის. პლეხანოვს ესეც დავიწყებია! დასწყევლა ღმერთმა სიბერე: სულ იმისი ბრალი უნდა იყვეს ესეთი გულმავიწყობა! ტყუილათ კი არ ამბობენ ხოლმე ბებრები: „დავბერდი დავჩაჩანაკდიო“. ასე ემართება ჩვენს მოკადეტო „მასწავლებელსაც“.

*) ასე გასინჯეთ თბილელმა მენშევიკებმაც კი კრიტიკა გაუწიეს პლეხანოვის „საერთო პლატფორმას“!

## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 5 ამ თვეს, დილით $5^1/_2$ საათზე ნაძალადევში ხულიგანებმა მოჰკლეს გორის მაზრის მცხოვრები მიხა მერებაშვილი. მკვლელები იქვე გვარათ მალხინოვი და ნაუმოვი შეიპყრეს მუშებმა, აჰყარეს ლევორველები და პარკი, რომლებიც გადასცეს გოროდოვოის № 262, ცოტახნის შემდეგ, პოლიციამ გაანთავისუფლა მკვლელები.

✦ შაბათს საღამოს, 3 მარტს, მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ალიხანოვის, თაიროვის და ტოლეს ქარხნის მუშები, რომელნიც დაჭერილნი იყვნენ გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის (29 კაცი).—ხსენებულ ზავოდის გაფიცვის ბიუროს კრება ჰქონდა, 5 მარტს და დაადგინა: შეკრებილ იქნას მოქალაქეებში და მუშებში გაფიცულ მუშების სასარგებლოთ ფული.. გაფიცვა გრძელდება.

✦ დღეს გაზეთი „თბილისის ობოზრ.“ არ გამოვიდა, რადგან რედაქციამ ასოთამწყობებს უარი უთხრა ჯამაგირების მომატებაზე.

✦ 3 მარტს, საღამოს, მე-5 საპოლიციო ნაწილში პოლიციამ დააპატიმრა თბილისის მესამე გიმნაზიის, მე-5 კლასის მოწაფე ნიკოლოზ მარქაროვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს „ბრაუნინგის“ რევოლვერი აღმოაჩნდა. მარქაროვი საკომენდანტო სამმართველოში წაიყვანეს.

✦ თბილისის წვრილ მოვაჭრეებს თხოვნით მიუმართავთ გუბერნატორისთვის, ნება დაერთოთ შეადგინონ „წვრილ მოვაჭრეთა პროფესიონალური კავშირი“.

✦ თბილისის დრ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, 5 წლის ვადით ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან მეტეხის ციხეში დაპატიმრებულნი გიორგი ღარიბაშვილი და არშაკ მარქარაშვილი.

✦ 3 მარტს, ღამის პირველ საათზე, სახელმწიფო ბანკთან მდგომ 79 ტენგინის პოლკის ჯარის კაც დანიელ ვიშნიკოვთან მისულა ერთი ქალი და უკითხია პოლიციელი „პეტრე“. ყარაულს ყურადღება არ მიუქცევია და როგორც კი ქალი მიახლოვებია, მას ხიშტი ჩაუკრავს მარჯვენა გვერდში, რომელიც მეორე მხარეს გაუხედდებია. მოკლული ქალი აღმოჩნდა ქ. პენზის მცხოვრები ევდოკია კუზნეცოვისა.

✦ როგორც გავიგეთ, შაბათს, 4 მარტს ადელხანოვის ტყავის ქარხნის ადმინისტრაციას ჩვეულებრივ ფული არ დაურიგებია მუშებისათვის იმ მიზეზით, მითომ კასაში ფული არ არისო. ნეტა როდის მოელება ბოლო ამ გიარ „პოლიტიკას“.

✦ 1 მარტს, საღამოს 7 საათზე, მე-10 ნაწილში, პოლიციამ დააპატიმრა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები თეოფილე სოსელია.

✦ ამ დღეებში, თბილისის ნოქართა უპარტიო პროფესიონალური კავშირის დელეგატების კრება მოხდა, სადაც კავშირის ლეგალურათ გადაქცევა გადაწყდა. ამის სისრულეში მოყვანა კავშირის ბიუროს დაევალა. ამავე კრებაზე ცნობა მოვიდა, რომ ზოგიერთი სავაჭროებს პატრონები ნოქართა და სავაჭროებების პატრონთა შორის დადებულ პირობებს არღვევენ, მაგ. დილით სავაჭროებების დანიშნულ დროზე ადრე აღებენ, და საღამოთ გვიანა კეტვენ და სხვ. ამისათვის გადაწყდა შესაფერი ზომები იქმნას მიღებული ყველა პირობების დამრღვეველთა წინააღმდეგ.

✦ კვირას, 4 მარტს, ზუბალაშვილის სახელობაზე აშენებულ სახლის დარბაზში, ლექცია წაიკითხა ვარ. ჩერქეზიშვილმა, საზღვარ გარეთელ, სახალხო უნივერსიტეტების მოწყობილების შესახებ, ხალხი ბლომათ დაესწრო.

## პარტიის ცხოვრება

**ს. დ. გლეხი-დეპუტატები გაზეთის გამოცემას აპირობენ.** დუმის ს. დ. ფრაქციის გლეხ-დეპუტატეს განუზრახავთ გამოსცენ გლეხებისათვის გაზეთი, რომელიც უბრალო, ხალხურ ენით იქნება დაწერილი და გლეხ-კაცობას საშუალებას მისცემს გაეცნოს როგორც საერთოდ დუმის, ისე კერძოთ ს. დ. ფრაქციის მოქმედებას დუმაში. ს. დ. გლეხი-დეპუტატები გაზეთისათვის ყველა საჭირო მასალის შეგროვებას უკვე შესდგომიან. გაზეთის თანამშრომლათ იქნებიან როგორც ს. დ. დეპუტატები, ისე პარტიულ ლიტერატურაში მომუშავე ამხანაგები. დეპუტატი-გლეხები გაზეთის ყველა ნაწერებს წინასწარ უბრალო ენაზედ გადაიღებენ და ამით გლეხთა მასსას გაზეთის შინაარსის გაგებას გაუადვილებენ.

**მოხსენება აგრარულ კითხვაზედ.** ამხ. მასლოვი, სოც. დემ. ფრაქციის ერთერთ კრებაზედ, აგრარულ კითხვის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს.

**რეზოლიუცია ამნისტიის შესახებ.** 22 თებერვალს, დუმის ს. დ. ფრაქციის კრებამ, რომელზედაც 42 დეპუტატი გადამჭრელი ხმით მონაწილეობას იღებდა, მიიღო ამნისტიის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ს. დ. დეპუტატები თითქმის ყოველ დღე, პოლიტიკურ ტუსაღთ და თავისუფლებისათვის მებრძოლ ამხანაგების განთავისუფლებაზედ ურიცხვ ნაკაზებს იღებენ, რომ ამნისტიის მოთხოვნა ტანჯულ ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნაა, გამომხატველია ხალხის ნების, სოციალდემოკრატიული ფრაქცია, მიუხედავათ იმისა მოითხოვენ ამნისტიას სხვა პარტიებიც თუ არა, ყველაზედ წინ დუმაში ამნისტიის კითხვას დააყენებს.“ კითხვის ფორმალურად დამზადება ფრაქციის კომიტეტს მიენდო.

**ს. დ. ფრაქციის კრებაზედ.** ს. დ. ფრაქციას შემდეგი დაუდგენია: 1) ს. დ. ფრაქცია უნდა ეცადოს ყველა კითხვები, რომელზედაც ს. დ. ორატორებს მოუხდებათ ლაპარაკი, წინასწარ გაარკვიოს თავის კრებებზედ და ორატორებიც დაასახელოს. სხვა ს. დ, ორატორებს დუმაში შეუძლიანთ სიტყვა აიღონ და ილაპარაკონ ოფიციალურ ორატორების შემდეგ, მხოლოდ იმ ფარგალში, რა შეხედულობისაც ამა თუ იმ კითხვაზედ თითონ ფრაქცია იქნება. 2) იმ შემთხვევაში კი, როცა ს. დ. ფრაქცია ვერ მოასწრობს კითხვის წანასწარ გარკვევას, ს. დ. ორატორები კომიტეტის თანხმობით ილაპარაკებენ. ფრაქციას, მიუხედავათ ათას გვარ პოლიციურ დაბრკოლებებისა, გადაუწყვეტია არ შესწყვიტოს კავშირი პეტერბურგის პროლეტარიატსა და ფრაქციას შორის.

**წერილი ს. დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის.** ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციების მიმართ, რკინის გზის მუშათა სოციალდემოკრატიულ კონფერენციაზედ გამოტანილ რეზოლიუციის შესახებ, წერილი გამოსცა. კონფერენციის გადაწყვეტილებას, რომელიც აუცილებელ საჭიროდ სცნობს ყველა სოციალდემთკრატები, რომელნიც მთელი რუსეთის რკინის გზის კავშირში შედიან, კავშირიდამ გამოვიდნენ და კავშირი შეუერთოს უკვე არსებულ პროფესიონალურ რკინის გზის ორგანიზაციებს. ცენტრალური კომიტეტი სავსებით ეთანხმება კონფერენციის გადაწყვეტილებას და იწვევს როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე რკინის გზაზედ მომუშავე სოციალდემოკრატებს, გამოვიდნენ მთელ რუსეთის რკინის გზის კავშირიდან და საცა არიან რკინის გზის პროფესიონალური კავშირები იქ შევიდნენ, ხოლო საცა ისინი არ არიან, ითაონ მათი დაარსება. პარტიისა და რკინის გზის პროფესიონალური ორგანიზაციების შესაკავშირებლად, ცენტრალური კომიტეტი მომავალში ყველა რკინის გზის ორგანიზაციების კონფერენციას იწვევს.

---

ვინის კანდიდატურას და თეთრი კენჭები მისცეს. პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ ს. დ. ფრაქციაში ორმა სხვა და სხვა აზრმა იჩინა თავი. მენშევიკების აზრი: უნდა ავირჩიოთ ისეთი დეპუტატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღოს. ასეთი არჩევანი გაამაგრებს და შეაკავშირებს დუმის მარცხენას, რეაქციონურ ძალებს დაუპირდაპირებს მჭიდროთ შედუღებულს(?) და ძლიერ უმრავლესობას. ამის და გვარათ ჩვენ კადეტების კანდიდატურას ვემხრობით. ბალშევიკების აზრი: პრეზიდიუმის არჩევა ძალიან სერიოზული ნაბიჯია. იმ ფრაქციას, რომელიც შეიძლებს თავისიანებისაგან შემდგარ პრეზიდიუმის გაყვანას უპირატესობა ეძლევა დუმაში, რადგან პრეზიდიუმს თივის გავლენის გასაძლიერებლათ მოიხმარს. ს. დ. ფრაქციამ უნდა იხელმძღვანელოს ამ მოსაზრებით. პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ საკითხში ის თავის საკუთარს, ს.-დ—ულ ტაქტიკას უნდა დაადგეს: უნდა ეცადოს, რომ წვრილი ბურჟუაზია და განსაკუთრებით გლეხობა შავრაზმელთა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოიყვანოს. მაშასადამე ს. დ. ფრაქცია ვალდებულია კადეტების კანდიდატს დაუპირდაპიროს მემარცხნეების კანდიდატი. მან უნდა დაამტკიცოს, რომ დუმა კადეტების კუთვნილება არ არის. რომ კადეტები ველარ იფარფაშებენ ამ დუმაში. თუ რომ კადეტებზე მემარცხნეებმა (მაგ, ტრუდოვიკებმა) არ მოისურვეს თავიანთი კანდიდატების წამოყენება, ს. დ. პარტიამ უარი უნდა თქვას კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებაზე... მკითხველმა გასაჯოს, რომელი აზრია უფრო ს.-დ—ული, რომელი აზრი უფრო შეეფერება კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე მდგომ პარტიას?.. როგორც ხედავთ მეუმცირესეებმა გაატარეს თავიანთ აზრი..

სხდომა გათავდა. დუმის ახლო-მახლო ქუჩები ხალხითაა გაჭედილი. ყოველი მხრით რევოლიუციონური სიმღერების გუგუნი მოისმის. ხალხს ახლა ბედ დუმასთან მოუღწევია და ამნაირათ სრულიად ვაუბათილებია კადეტების კანონპროაქტი.

— რა პარტიას ეკუთვნით?

— მემარცხნე ვარ.

— მაინც რომელი პარტიის ხართ? აღარ კმაყოფილდება ხალხი.

— ს. დ.

ურა! გაუმარჯოს სოც.-დ—იას! ისმის გრიალი.

— თქვენ რა პარტიის ხართ?

— კადეტი.

— ძალიან კარგი, ირონიულათ იძახის ვიღაც. ხალხი დუმილით აცილებს კადეტს!

— კარეტა მიდის, ბიუროკრატი ვინმე იქნება! ძირს!

გაისმის ძლიერი სტვენა.

— ამხანაგებო, ნუ უსტვენათ ეს საფრანგეთის ელჩია!

სტვენა მაშინვე სწყდება.

— არ მისცეთ სესხი რუსეთს, არ მისცეთ!

იძახის ვიღაც და მთელი ახლო-მახლო მყოფი ხალხი ერთხმად ღრიალებს:

— არ მისცეთ, არ მისცეთ სესხი!

ახლო-მახლო ქუჩებზე ყველგან დიდებული მანიფესტაციები ხდება. ჰაერში წითელი ბურთები დასრიალებენ. აქა იქ დროშებიც მოჩანს. მანიფესტაციები დაღამებამდე გრძელდება.

**ტ. ტ.**

პეტერბურგ

## ვისი ბრალია „კონკის“ უწესრიგო მოძრაობა თბილისში?

ტრამვაის მოსამსახურეებს აბრალებენ ვაგონების უწესრიგოთ მიმოსვლას, ისეთ ასეთი ხალხი, როგორიც არის მაგ. ქალაქის მამა სვეჩნიკოვი და კიდევ სხვა ამგვარი შვილნი „საზოგადოებისა“. ჩვენ არ გვცალოდა ჯამოსაპასუხებლათ, ახლ. მოვიცალეთ და პასუხსაც გავცემთ. „წინის“ ნ-№ 6, 14, მოთავსებულია უწესრიგო მოძრაობის მიზეზები თბილისის ელექტრ. ტრამვაისა. მე მინდა მხოლოდ გავაცნო მკითხველებს უფრო ნათლად. მიზეზები ასეთია. 1) ჩვენი ელექტრონით მავალი ვაგონები ჩქარ-ჩქარა ფუჭდება*) ლიანდაგზე სიარულის დროს და ამითი ირევა მოძრაობა. 2) ხშირად მიმავალ ვაგონებზე უხტება მგზავრი და თუ ჩამოვარდა, იძულებულია კონდუქტორი შესაჩერებელი ნიშანი მისცეს ვატმანს, ჩაიწეროს მოწმები და ჰკითხოს, თუ როგორ გადავარდა. ამასობაში გადის 5—20 წუთი, ხან მეტიც. ამითაც ირევა მოძრაობა. 3) ხშირათ მიცვალებულს მიასვენებენ ლიანდაგზე, ამ დროს უნდა გააჩეროს ვატმანმა ვაგონი, რომლის უკან თავს იყრის ვაგონები. ამითაც ფერხდება მოძრაობა. 4) ხშირათ ვერის აღმართზე მიაქვთ ხოლმე მძიმე ტვირთი და სწორეთ ლიანდაგზე, რადგანაც უფრო სწორე ქვაა დაგებული. ეს კი ხელს უშლის ვაგონების მოძრაობას 10—20 წუთობით ხან მეტიც.

ყველა აქ მოყვანილ მიზეზების შემდეგ მკითხველები მიხვდებიან, რატომ არის უწესრიგობა ვაგონების მოძრაობაში. მართალია, დირექციას 70 ვაგონი აქვს, მაგრამ ყველას არ უშვებენ სამუშაოთ. რატომ? იმიტომ, რომ გაფუჭებულია ვაგონები, რატომ არ აკეთებენ? იმიტომ, რომ ტრამვაის დირექციას არა აქვს სათადარიგო მასალა. მაგალითად, სათადარიგო იაკორები, რომელიც ჩქარ-ჩქარა იწვის, სულ ოთხი აქვს**) მაშინ როდესაც საჭიროა ბევრათ მეტი; აგრეთვე ფოლადის ბანდაჟები, ურომლისოთაც შეუძლებელია—პარკიდგან ვაგონის გამოშვება ისე ცოტა აქვთ რომ სათქმელათ არც კი ღირს; სხვა სათადარიგო მასალაც ძალიან ცოტა აქვთ.

ყველა ზევით მოყვანილი ცნობების შემდეგ, თავისთავათ ცხადია, რომ მოწესრიგებული მოძრაობა ეხლა შეუძლებელია. მასასადამე ტრამვაის მოსამსახურეთა „გამტყუნება“ უსაბუთო ლაპარაკია მეტი არაფერი. მაშასადამე ქალაქის მამების და სხვების ბრალდება უხამსო ლათაიებია, რომლებსაც ყურადღება არ უნდა მიექცეს. რატომ ქალაქის მამები არ ფიქრობენ ნამდვილი მიზეზების გამონახვას? იმიტომ, რომ სვეჩნიკოვების, ევანგულოვები და დანარჩენი „მამები“ დირექციის ღვიძლი ძმანი არიან. საკმარისია დირექციამ უთხრას: მოსამსახურები სტყუიანო, რომ მათაც მაშინვე დაიჯერონ. ეგრეთ წოდებული „საზოგადოება“ ხომ, როგორც იცით, ჩქარა ითვისებს ჭორებს. „მამებს“ კი არა დაუშავდებათ რა, თუ ყველაფერს მუშებს დააბრალებენ. გარდა ამისა, ჩვენ მოსამსახურეები ვერ დავპატიჟებთ ბატონ ევანგულოვებს და მათ მოკავშირეებს არტისტიულ კლუბში და სასტუმრო „ლონდონში“, რადგანაც ჩვენ თვითონ შიმშილით გვწყდის... ბატონი ფაიანი კი ყველა ამას „სიამოვნებით“ მოახერხებს... ამის შემდეგ მკითხველი კარგა გაიგებს, რომ ვაგონების მოძრაობის უწესრიგობა დირექციისა და [illegible] „მამების“ ბრალია, და არა მოსამსახურეების.

**ამო.**

---

*) ვაგონის გაფუჭება სხვა და სხვა მიზეზებით ხდება, თუ ისურვებს ვინმე ამ მიზეზების გაგებას შაგვატყობინეთ და გაგაცნობთ გაზეთის საშვალებით.

**) ეხლა გამოუწერიათ 30 იაკორი, თუ არ გვატყუებენ როგორც წინეთ ატყუებდენ ქალაქს 50 „გამოწერილი“ ვაგონების შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ანნა მერკვილაძეს, რომელსაც აქვს სამკვრივალო მონაშინაში და იღებს მოწაფეებს სასწავლებლით ვიწვევ საქედიატორო სასამართლოში, და ჩემის მხრით ვნიშნავ ნიკო ახვლედიანს და სეით რაზმაძეს. ვაძლევ ერთი კვირის ვადას იმ პირობით რომ, მჯერა, ჯერ-ჯერობით არ ექნება გადაწყვეტილი დამარცხების იმედი და გამოაცხადებს, გამოსვლის სურვილს, და აღნიშნავს დროს და ადგილს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებას მივცემ ჩემს თავს, დავანახო მკითხველს მგელი ცხვრის ტყავში.

ამბაკო რაზმაძე.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

2 მარტი

**პეტერბურგი. უბედურების დაწვრილებითი ცნობები და სურათის აღწერა** (სასწრაფო) გულის შემზარავ სურათს წირმოადგენს დუმის ზალა: დაინგრა თითქმის სამი მეოთხედი კედლებისა ბათქაშებით და ყავრით. ჭერი შუა ალაგას გასკდა და ჩამონანგრევები დაეცა მემარცხენე დეპუტატების ადგილებს, ცენტრს და ნაწილი მემარჯვენეების ადგილებზე და მთლათ მილეწ-მოლეწა სამასამდე კრესლოები. ჩამონანგრევებმა სრულებით დაამსხვრია შუა და გვერდების ლიუსტრები. თუ ეს უბედურება სხდომის დროს მომხდარიყო, ორას დეპუტატს გამოასალმებდა სიცოცხლეს. ზოგიერთ ადგილას ვეებერთელა ბათქაშია ნაყარი. მინისტრის ლოჟებზე და ტრიბუნებზე ჩარჩოების ნამტვრევები ყრია და დაფარულია გაჯის მტვერით. ზოგიერთი დეპუტატები მილეწილ პიუპიტრების ქვეშიდგან იღებენ დაყოლილ ქაღალდებს. მთელ ამ სურათს აგვირგვინებს მილეწ-მოლეწილი ფოტოგრაფიული სურათების ნაკუწები. სხდომის დახურვის შემდეგ თავმჯდომარე გაიწვიეს მინისტრების პავილიონში, სადაც თავი მოეყარათ სტოლიპინს და სხდომაზე დამსწრე მინისტრებს. მცირე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს გაწმინდონ ჭერი ნანგრევებისაგან და ქვეშ ტილო გადაჭიმონ, რაც შესაძლებლათ გახდის 7 მარტს სხდომები განაახლონ. არხიტეკტორების აზრით, რადგანაც სხდომების ზალის შენობა უწინ ბალათა ყოფილა, არასოდეს არ გაუთბიათ და არც თუ პირველი დუმის დროს ათბობდნენ, ყველა ამან გამოიწვია შენობის ჩამონგრევა. ჩამონგრევას ხელი შეუწყო ტემპერატურის სხვა და სხვაობამ: სითბომ, ვენტელიაციამ წვეტიან ლურსმებით მიჭედილმა ფიცრებმა და სხვა.

— ეკატერინეს ზალაში 11 საათს და 35 წ. გოლოვინმა გახსნა კრება. დეპუტატები სკამებზე სხედან, პარტიები არეულია და საზოგადოთ საშინელი სივიწროეა,—მორიგ კითხვებს შეადგენენ: პირველი—განყოფილებების მოხსენება, მეორე—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, მესამე—მიმდინარე საქმეები. ზალის შუა ადგილიდგან ჩივიან, რომ არაფერი არ ისმის, რაზედაც თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამის მიზეზი კრების არა სასურველ პირობებში ჩაგდებაა. **ჩერნოსვიტოვი** კადეტების სახელით წინადადებას იძლევა დახურონ კრება და ამოირჩიონ კომისია (უბედურების მიზეზების?) გამოსარკვევათ. ზოგიერთები აცხადებენ—რადგანაც შესაძლებელია უბედურების განმეორება, **ამოირჩიონ** კომისია და კრება **შესწყვიტონ,—** **დოლგენკოვი** ადის სტოლზე და აცხადებს, რომ თუმცა **დიდძალი ფულებია** დახარჯული, ჭერი მაინც საიმედო არ არის, რასაკვირველია, ეს ფულები ანგაშია მიღებული მაგრამ თვით ანგარიში კი ნამეტანი სასტიკია; გამოძიებაში მონაწილეობას უნდა იღებდენ დუმის წევრები და პრეზიდიუმმა უნდა განუცხადოს სასახლის მინისტრს, რომ დუმის სხდომებისთვის საჭიროა სხვა შენობის გამოძებნა. ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ ჩვენი სიცოცხლე. **ივაშჩენკო** ეთანხმება წინადადებას, თუ მართლაც ზალა სახიფათოა. **ალექსინსკი**: „როდესაც მე აქ მოველი, სრულებითაც არ გამკვირვებია იმ ზალის ჭერის ჩამონგრევა, სადაც ხალხის წარმომადგენლები სხედან. პოლიციის დეპარტამენტს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას უფრო მაგარი და უფრო მჭიდრო ჭერი აქვს. (მემარჯვენეები ყვირიან: „გაეთრიე! ძირს! მემარცხენეები ტაშს უკრავენ.) თავმჯდომარე ითხოვს დაიცვან წესიერება და გაარჩიონ სხდომების გაგრძელების საკითხი.— **კრუპენსკი** პროტესტს აცხადებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ინსინუაციებით და აბუჩათ აგდებით შეურაცხჰყოფს ზოგიერთ პირებს. თავმჯდომარე აცხადებს 20 წევრის წინადადებას—კრება შესწყვიტონ. თავმჯდომარე კენჭს უყრის შემდეგ საკითხებს: პირველი—დუმის სხდომა გადაიდოს, რაც ერთხმათ მიღებულიქმნა; მეორე—მიენდოს პრეზიდიუმს შენობის გამოძებნა და კომისიის დანიშვნა უბედურების მიზეზების გამოსაკვლევლათ, ეს მეორე მუხლიც ერთხმათ მიიღეს. სხდომა დაიხურა 12 საათს და 15 წამს. სხდომას დაესწრნენ სტოლიპინი, შვანებახი, კაუფმანი, შჩეგლოვიტოვი! დაუფუსი დე იზვოლსკი. სხდომის დახურვის შემდეგ სტოლიპინი და გოლოვინი სათათბიროდ გავიდნენ. პარაკლისი არ გადაუხდიათ.

3 მარტი

**პეტერბუგი**. დუმის კომისია მიემხრო მთავრობის კომმისიის ექსპორტიორების აზრს, რომ ჭერის ჩამონგრევა გამოიწვია ტემპერატურის სხვადასხვაობამ, სახელმწიფო დუმის სხდომების გაგრძელება ტავრიდის სასახლეში შეუძლებლათ სცნო და მოითხოვა 1905 წლიდგან დუმის რემონტზე დახარჯული ანგარიში.

— დუმის კომისიამ დაადგინა სთხოვოს დუმის თავმჯდომარეს მოილაპარაკოს სახალხო სახლის დუმის სხდომებისთვის დათმობაზე. თუ თანხმობა განაცხადეს, კრებას მოახდენენ 7 ან 8.

— 3 მარტს მოხდა პირველი სხდომა ინფორმაციონულ ბიუროსი, მონაწილეობას იღებდენ რწმუნებულები კადეტებისა, ტრუდოვიკებისა, სახალხო სოციალისტებისა, სოც.-დემ. და სოც.-რევოლიუციონერების პარლამენტარულ ფრაქციებისა; კრებაზე შეიმუშავეს შემდეგი დადგენილებანი: პირველი—დუმის კრებები დაიწყონ დროებითი სადგომში, თუნდაც რომ ეს შენობა ვერ იყოს შესაფერი; მეორე—სოციალ-დემოკრატებმა და სახალხო სოციალისტებმა გაუწიონ კრიტიკა სტოლიპინის დეკლარაციას და ამითი შეასრულონ თავიანთი პირველი გადაწყვეტილება. დანარჩენი პარტიები კი ჩუმათ მოისმენენ დეკლარაციის წაკითხვას.

4 მარტი.

**პეტერბურგი** ფინანსთა მინისტრმა შეატყობინა დუმის თავმჯდომარეს გოლოვინს, რომ არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის სახელმწიფო დუმის სხდომას დაუთმოს დროებით სახალხო სახლი, მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტა ეკუთვნის სახალხო სიფხიზლის კომიტეტის თავმჯდომარეს პრინც ოლდენბურგს.

**პეტერბურგი**. (ოფიც.) შინაგან საქმეთა სამინისტრომ 17 თებერვალს დაუგზავნა ყველა გუბერნატორებს შემდეგი შინაარსის ცირკულიარი:—შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ადგილებიდან მოსდის ცნობები, რომ მიუხედავათ იმისა, რომ დუმა არსებობს, გლეხები მაინც ეცემიან მემამულეებს და მსხვილ გლეხებს. ამიტომაც აფრთხილებს ადმინისტრატორებს, ადევნონ სასტიკი თვალყური აგიტატორებს სოფლებში და პასუხის გებაში მისცენ ყველა დამნაშავენი. მთავრობის წარმომადგენლების მხრივ დაუდევრობა და საქმისადმი უყურადღებობა გამოიწვევს მათ პასუხისგებაში მიცემას.

— დუმის შენობის შეკეთებას, არხიტექტორ ბრუნის აზრით, დაამთავრებენ 8 მარტს საღამოთი, დღე და ღამ განუწყვეტლავ მუშაობს 300 საპიორი.

**თავდასხმა და მკვლელობა.**

**პეტერბურგი.** ღამის სამ საათზე, ევროპის სასტუმროში, აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის პორუჩიკმა კოზლოვმა, დიდძალ აფიცრობის თანადასწრებით, ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლს თავად ნიჟარაძეს, როდესაც ეს უკანასკნელი კამათობდა კავკასიის ავტონომიის შესახებ, ხმლით ჩამოათალა ყური. ნიჟარაძემ თავის მხრივ დაახალა კოზლოვს რევოლვერი და ორი ტყვიით დასჭრა, გულში და კისერში, კოზლოვი უგრძნობლათ წაიყვანეს ნიკალაევის სავადმყოფოში, ნიჟარაძე—მარინისაში.

**ჩერკასი**. სოფელ ხლიპოვკაში გაძარცვეს მღვდელი, გაუუპატიურებიათ მისი ქალი. დედა ჭკვაზე შემცდარა. მღვდელს გული გაუსქდა და მოკვდა.

---

რედაქტორ-გამომც. **მ. კვაჭაძე**.

## განცხადებანი.

**თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 10 მარტს 1907 წ. დილის 11 საათზე, გამგეობის დარბაზში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში დანიშნულია გაყიდვა, იმ მამულებისა, რომლებიც **საზოგადოებას** დარჩა:

**მ. დ. ალხაზოვისა** მე-5-თე საპ. ნაწილში. მუხრანის და პოლიციის ქუჩაზე.

**მ. ა. კუკალდინისა** მე 10 საპ. ნაწ. შერმეტიევის ქუჩაზე.

**ნ. გ. მარცველოვისა** მე-9 საპ. ნაწ. პირველ თუმანოვის ქუჩაზე (ახლა მინგვიცევის ქუჩაზე) № 8

აგრეთვე გაიყიდება სხვა მამულებიც, თუ ყიდვის მსურველნი აღმოჩნდებიან.

დანარჩენი პირობები და დაწვრილებით ცნობები საჯარო ვაჭრობის შესახებ მსურველთ შეუძლიანთ, მიიღონ ყოველ დღე დილის 10 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე **საზოგადოების გამგეობაში**.

(3—2)

---

**თბილისის მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების**

# გამგეობა

აცნობებს ყველა ბუფეტ-რესტორანების, ტრაქტირების, სამიკიტნოების, სარდაფების, ღვინის სავაჭროების ოჯახების, სასწავლებლების საავადმყოფოების მოსამსახურეებს ქალსა და კაცს განურჩევლათ ეროვნებისა, რომ საზოგადოების კანტორა იმყოფება ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 8. ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. აქვე შეიძლება საზოგადოების წევრთა ჩაწერა, რისთვისაც საჭიროა ერთი მანეთი და ამასთანავე ორ-ნახევარი პროცენტი თვიურ ჯამაგირის საწევრო გადასახადათ.

სტამბა „საქმე“ მიხაილოვის პრ. № 40.